დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2024 წლის 1 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2024 წლის 27 დეკემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ -სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მილტიადის ვანცოსი (Miltiadis Vantsos), თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ცოტნე ჩხეიძე, ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნათია მაღალაშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Theology-History of the Church of Georgia
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	თეოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	რელიგია და თეოლოგია 0221
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	55
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული 13.01.2023; № 23934
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

2016 წლიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერიის ფაკულტეტზე ხორციელდება **„თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია“** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 ივლისის №57 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის №19/87 დადგენილების საფუძველზე, ბიზნეს - ინჟინერიის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აღნიშნული ფაკულტეტი ამჟამად ახორციელებს "თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამა შემუშავებულია 21-ე საუკუნის სამეცნიერო ტენდენციების შესაბამისად და უზრუნველყოფს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ძირითადი საკითხების გააზრებას, რომლებიც წარმოდგენილია სამეულის სახით - "რელიგია, აზროვნება, მეცნიერება" (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 4).

"თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტებს გადასცეს აღნიშნულ სფეროში კვლევის ჩასატარებლად აუცილებელი კოგნიტური და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები. პროგრამა შემუშავებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად და სტუდენტებს საშუალებას აძლევს მინიმუმ სამი წლის განმავლობაში მოიპოვონ 55 კრედიტი. პირველი სემესტრი მოიცავს ოთხ სავალდებულო სასწავლო კომპონენტს, მათ შორის თემატურ სემინარს (სულ 30 კრედიტი). მეორე სემესტრი მოიცავს ორ სავალდებულო სასწავლო კურსს, პროფესორის ასისტენტობას და ოთხ არჩევით სასწავლო კურსს, რომელთაგან დოქტორანტი ირჩევს ორს (სულ 25 კრედიტი). მეორე სემესტრში დოქტორანტები იწყებენ კვლევითი კომპონენტის განხორციელებას. კვლევითი კომპონენტი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: კვლევითი პროექტი / პროსპექტუსი, კოლოკვიუმი 1, კოლოკვიუმი 2, კოლოკვიუმი 3, წინასწარი დაცვა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვა. სავალდებულოა კვლევითი კომპონენტის დადგენილი თანმიმდევრულობის დაცვა, ვინაიდან თითოეული ეტაპის დასრულება წარმოადგენს შემდეგი ეტაპის წინაპირობას (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, გვ. 2). პროგრამის აკადემიური პერსონალი შედგება ხუთი პროფესორისგან და სამი ასოცირებული პროფესორისგან. აკადემიური პერსონალის რეზიუმეები აჩვენებს მათ უნარებს და კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია სტუდენტების დასახმარებლად იმისათვის, რომ მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს. აკადემიური პერსონალის ყველა წევრი არის აქტიური მკვლევარი, რომლებსაც გააჩნიათ თეოლოგიურ და ისტორიულ სფეროებში მნიშვნელოვანი გამოქვეყნებები. გასაუბრებებისას სტუდენტებმა გამოხატეს პროგრამით და ხელმძღვანელების მიერ გაწეული მხარდაჭერით ძლიერი კმაყოფილება. ხუთ დოქტორანტთან რვა აკადემიური პერსონალის თანაფარდობა ოპტიმალურია და უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას, იმ შემთხვევაშიც თუ მომდევნო წლებში გაიზრდება სტუდენტების რაოდენობა.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ადგილზე ვიზიტი ჩატარდა 2024 წლის 1 ნოემბერს, პარასკევს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ხორციელდება სადოქტორო პროგრამა. ვიზიტი გულდასმით იყო ორგანიზებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ყველა შეხვედრის კოორდინირებაში და პუნქტუალურობის უზრუნველყოფაში. ადგილზე ვიზიტი მოიცავდა შეხვედრების სერიას ვიცე - რექტორთან, ინჟინერიის, ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების გუნდთან და აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა ემუშავა ძირითად მიგნებებზე და შემდგომ წარედგინა ფაკულტეტის დეკანისთვის, პროგრამის ხელმძღვანელისთვის და თვითშეფასების გუნდის წევრებისთვის.

შეხვედრებზე ექსპერტთა ჯგუფი თბილად იქნა მიღებული და ყველა პირი მზად იყოს ეპასუხა კითხვებზე და წარმოედგინა განმარტებები სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა, სხვა საკითხებთან ერთად, დასვა კითხვები პროგრამის პოტენციური ნაკლოვანებების შესახებ და მოითხოვა განმარტებები და რჩევები ინდივიდების პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით. დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან დისკუსიებისას დროდადრო იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი თავს იკავებდნენ კრიტიკული მოსაზრებების დაფიქსირებისგან. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ გაიცა გულწრფელი პასუხები და მადლობელია ყველა იმ პირის, ვინც მონაწილეობა მიიღო დისკუსიებში და ითანამშრომლა ჯგუფის წევრებთან. დისკუსიები წარიმართა ქართულ ენაზე, თუმცა უზრუნველყოფილი იყო შესანიშნავი სტანდარტის სინქრონული თარგმანი ინგლისურ ენაზე, რაც ხელს უწყობდა ეფექტურ კომუნიკაციას და თავიდან იცილებდა ნებისმიერ შეფერხებას. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც მოწოდებული იქნა. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტების უმრავლესობა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ქართულ ენაზე.

ადგილზე ვიზიტი ასევე მოიცავდა უნივერსიტეტის შენობის დათვალიერებას, რომლის დროსაც ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა ოფისები, სალექციო და სასემინარო ოთახები და ლაბორატორიები, საუნივერსიტეტო სამლოცველო და ბიბლიოთეკა. ყველა ობიექტი იყო დამაკმაყოფილებელი და საკმარისი პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბოლო შეფასების პროცესის შედეგად, 2024 წელს განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება, გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაციები, რამაც გამოიწვია

მნიშვნელოვანი ცვლილებები. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს რეკომენდაციების პროგრამაში ინტეგრირების და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გაწეულ ძალისხმევას. ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს წარმოადგენს პროგრამაში "ძველი ქართული ენის" კურსის ჩართვა, უფრო მკაცრი მიღების კრიტერიუმების დადგენა, ყველა სასწავლო კურსის შინაარსის, აღწერილობის და ლიტერატურის გაუმჯობესება და სწავლის შედეგების მოდიფიცირება. მიუხედავად იმისა, რომ არ განხორციელებულა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება და კვლავ იკვეთება ზოგიერთი შეუსაბამობა და სუსტი მხარეები, როგორც ეს აღწერილია დასკვნის შემდეგ ნაწილებში, განხორციელებული ცვლილებები წარმოადგენს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ზოგადად, პროგრამას გააჩნია ძლიერი მხარეები, როგორიცაა მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, დოქტორანტების ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა, რაც აისახება მათ კმაყოფილებაში, კარგად ორგანიზებული კურსები და დამაკმაყოფილებელი მატერიალური რესურსები. პოტენციური გაუმჯობესების სფეროები მოიცავს მიღების კრიტერიუმების შემდგომ დაკონკრეტებას, პროგრამის ინტერდისციპლინურობის გაძლიერებას და ინტერნაციონალიზაციის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავებას. პროგრამა სრულად არის მხარდაჭერილი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ და შეუძლია მოიზიდოს სტუდენტების უფრო დიდი რაოდენობა. შესაძლოა საქართველოს ეკლესიამ უზრუნველყოს უფრო დიდი მხარდაჭერა, მაგალითად, სასულიერო პირების და თეოლოგების წახალისებით, რომ აღნიშნული პროგრამის მეშვეობით მათ გაიუმჯობესონ განათლება, რომელიც ეძღვნება საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლას ან პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა სტიპენდიების დაწესებით.

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან..

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან..

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.1

რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერდისციპლინურობა და შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.

კომპონენტი 1.2

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერდისციპლინურობა.
- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი და მოიცავდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს (აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და ა.შ.).

კომპონენტი 1.3

-

კომპონენტი 1.4

-

კომპონენტი 1.5

-

კომპონენტი 2.1

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამაზე დაშვების უფრო ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში უნდა დაკონკრეტდეს რამდენი კრედიტია საჭირო თეოლოგიურ და მეთოდოლოგიურ კურსებში პროგრამაზე მისაღებად.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს შეფასების დეტალური კრიტერიუმები პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო კვლევითი პროექტისათვის.
- რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია განთავსდეს თანმიმდევრულად დაწესებულების ვებ-გვერდზე (არ უნდა იყოს წარმოდგენილი განსხვავება ქართულ და ინგლისურ ენებზე არსებულ ინფორმაციას შორის; ასევე თვითშეფასების ანგარიშში).

კომპონენტი 2.2

რეკომენდებულია, დისერტაციის დაცვამდე, დოქტორანტებმა კვლევის შედეგები წარმოადგინონ სულ მცირე ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კონგრესზე ან ფორუმზე, ასევე უცხოურ საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალში.

კომპონენტი 2.3

-

კომპონენტი 2.4

- რეკომენდებულია სადოქტორო დისერტაციის დაცვის კომისიაში ჩართული თეოლოგების რაოდენობის გაზრდა, ასევე უზრუნველყოფა, რომ რეცენზენტები, რომლებიც აფასებენ კვლევას თეოლოგიის სფეროში, იყვნენ დარგის ექსპერტები.

კომპონენტი 3.1

- ○ რეკომენდებულია, დოქტორანტებს მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის კონფერენციებზე დასწრების, საზღვარგარეთ კვლევის ჩატარების და მათი შედეგების საერთაშორისო მასშტაბით გამოქვეყნების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ, როგორიცაა კონფერენციები და სიმპოზიუმები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის / ფაკულტეტის ვებ - გვერდზე.
- ○ რეკომენდებულია, დაწესებულებამ გამოაქვეყნოს საკონსულტაციო საათები და უზრუნველყოს სტუდენტებისთვის მათი ხელმისაწვდომობა.

კომპონენტი 3.2

- ○ რეკომენდებულია, სტუდენტებისთვის ტრენინგების შეთავაზება ან ხელმძღვანელების მხრიდან სათანადო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ.
- ○ რეკომენდებულია, ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ სტუდენტების აკადემიური წერის მიმართულებით აუცილებელი ცოდნით და უნარებით აღჭურვაზე, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის და სამეცნიერო სტატიების მომზადების სტრუქტურაზე და სახელმძღვანელო პრინციპებზე.

კომპონენტი 4.1

- ○ იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში დასაქმებულია თეოლოგიის ისტორიაში დოქტორის ხარისხის მქონე მცირე რაოდენობის აკადემიური პერსონალი, რეკომენდებულია მეტი აფილირებული პერსონალის აყვანა, რომლებიც ასევე გათვალისწინებული იქნებიან აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელებად.

კომპონენტი 4.2

-

კომპონენტი 4.3

- ○ რეკომენდებულია, პერსონალის პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობები, ასევე პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის კონფერენციები, სემინარები, ლექციები და საზღვარგარეთ კვლევის შესაძლებლობები,

ტრენინგები და ა.შ. აღირიცხოს და აისახოს პერსონალის პირად საქმეებში ან პროგრამის ვებ-გვერდზე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შედეგებზე ხელმისაწვდომობა.

კომპონენტი 4.4

-

კომპონენტი 4.5

- რეკომენდებულია, ბიუჯეტი უზრუნველყოფდეს სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას და სტუდენტებს მკაფიო და გამჭვირვალე წარმოდგენა ჰქონდეთ ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.

კომპონენტი 5.1

-

კომპონენტი 5.2

- რეკომენდებულია, პროგრამის ჯგუფმა სრულად გაითვალისწინოს წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული ყველა რეკომენდაცია.

კომპონენტი 5.3

-

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

კომპონენტი 1.1

- სასურველია, გაუმჯობესდეს ფაკულტეტის ინგლისურენოვანი ვებ - გვერდი.

კომპონენტი 1.2

-

კომპონენტი 1.3

-

კომპონენტი 1.4

- სასურველია, გადაიხედოს ბალანსი ზოგად (მეთოდოლოგიური, საკომუნიკაციო და სწავლების) კურსებს და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალიზებული კურსებს შორის.

- სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მხარდასაჭერის მიზნით უფრო აქტიურად იყოს გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა, უზრუნველყოფილ იქნეს პრეზენტაციების უცხო ენაზე გაკეთება და პროგრამის განვითარებაში უცხოელი პერსონალის ჩართვა.

კომპონენტი 1.5

- სასურველია, რეკომენდებული ლიტერატურის უფრო დიდი ნაწილი ხელმისაწვდომი იყოს უცხო ენებზე, რაც სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის ღირებული იქნება.

კომპონენტი 2.1

-

კომპონენტი 2.2

- სასურველია, დოქტორანტების ენობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა.

კომპონენტი 2.3

-

კომპონენტი 2.4

-

კომპონენტი 3.1

-

კომპონენტი 3.2

-

კომპონენტი 4.1

-

კომპონენტი 4.2

-

კომპონენტი 4.3

- სასურველია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს მობილობის ხელშეკრულებების გაფორმების და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის სტრატეგია.

კომპონენტი 4.4

- სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა მეტი დრო დაუთმოს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების კვლევითი შესაძლებლობების გაცნობას და მისცეს მათ მოტივაცია რეგულარულად გამოიყენონ აღნიშნული ბაზები.

კომპონენტი 4.5

-

კომპონენტი 5.1

-

კომპონენტი 5.2

- -

კომპონენტი 5.3

-

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო არგუმენტირებული პოზიცია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „თეოლოგია-ისტორია საქართველოს ეკლესია“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. ექსპერტთან ჯგუფი ტოვებს ყველა რეკომენდაციას და მოკლედ მიმოვიხილავთ ზოგიერთ წამოჭრილ საკითხს:

ექსპერტთა პანელი სრულად აცნობიერებს იმ ძალისხმევას, რომელიც გაწეულ იქნა რეკომენდაციების შესრულებისათვის პროგრამის წინა შეფასების ფარგლებში და და ასკვნის, რომ პროგრამა არსებითად შეესაბამება მოთხოვნებს აკრედიტაციის I სტანდარტს.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

რეკომენდაცია პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გაღრმავების შესახებ არ ნიშნავს იმას, რომ რომ ეს აღნიშნული პროგრამას აკლია, მიუთითებს რომ ის შეიძლება და კიდევ უფრო უნდა განვითარდეს. გაცემული რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ ითვალისწინებს რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ერთიანი სტრატეგია ინტერნაციონალიზაციისთვის, ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ხელს უწყობს სადოქტორო პროგრამას „თეოლოგია-ისტორია საქართველოს ეკლესია“ უფრო ფართო სტრატეგიის ფარგლებში დააკონკრეტოს საკუთარი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. მისასალმებელია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია სრულიად მისაღებია დაწესებულებისათვის და უფრო მეტიც, ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია, რაც დასტურდება ორი აქტივობით: კერძოდ, თბილისში გამართული ჰეგელის 35-ე საიუბილეო კონგრესით და ხელმოწერილი მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ წმინდა ანდრიას უნივერსიტეტთან, რაც აღნიშნულია არგუმენტირებულ პასუხში. ასეთი აქტივობები ხელს უწყობს სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და შეესაბამება ექსპერტთა პანელის წინადადებებს, რომლებიც მოიცავს „კონფერენციების ორგანიზებას, პროფესორების მოწვევას სხვა დისციპლინებიდან ან საზღვარგარეთიდან ლექციების წასაკითხად, ერასმუსის პარტნიორობას ან ორმხრივ შეთანხმებებს უნივერსიტეტებთან, რომლებიც სთავაზობენ მსგავს პროგრამებს, ასევე სტუდენტების წახალისებას ჩაატარონ თავიანთი კვლევების ნაწილი საზღვარგარეთ.

2.1 კომპონენტების რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტი აცხადებს, რომ პროგრამა უკვე აქვს დაშვების მკაფიო წინაპირობები, აღნიშნულს ექსპერტები არ ეთანხმებიან კერძოდ: უნივერსიტეტის მხრიდან მოგვეწონა დოკუმენტი (რომელიც არ არის დაკავშირებული პროგრამის სპეფიციკურ სტრუქტურასთან) და რომელიც იძლევა დაშვების კრიტერიუმის მხოლოდ ზოგად განმარტებას და ზუსტად არ არის ახსნილი. უფრო მეტიც, ამ დოკუმენტში შეფასების 40% ეთმობა მოტივაციას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის შეფასებას. სადოქტორო განათლების ჩარჩოს მიხედვით (რომელიც გამოიყენება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასებისას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად: https://eqe.ge/ka/page/static/1102/sadoqtoro-safekhuris-ganatlebis-charcho-dokumenti) შესაბამისი სამუშაო გამოცდილება არის ორი წელი. დაწესებულება ასევე არ იზიარებს, რომ ექსპერტებისათვის მიწოდებულ ინფორმაციასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე არსებულ ინფორმაციას შორის არის გარკვეული უზუსტობები, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: რეკომენდებულია, შემუშავდეს შეფასების დეტალური კრიტერიუმები პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო კვლევითი პროექტისათვის.

2.2 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან მიმართებით, უნივერსიტეტი მიუთითებს სტუ-ს სადოქტორო დებულებაზე, რომელიც განსაზღვრავს სადოქტორო კვლევის ძირითადი შედეგების წარმოდგენის ვალდებულებებს, სამ სტატიას სამეცნიერო კვლევით ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science-ში, Scopus-ში, Google Scholar-ში ან სხვა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამის მონაცემთა ბაზაში, თუმცა, სტუდენტები არ არიან ვალდებულნი კვლევის შედეგები საერთაშორისო დონეზე წარადგინონ და მინიმუმ 1 სტატია გამოქვეყნონ უცხოურ ჟურნალში, რაც ზემოთ ხსენებული სადოქტორო განათლების ჩარჩოს მოთხოვნაა.

რაც შეეხება უნივერსიტეტის პოზიციას, რომ დისერტაციის დაცვის წევრთა 60%-ს აქვს თეოლოგიის დოქტორი, ეს ინფორმაცია არაზუსტია, აღნიშნული ეფუძნება სტუ-ს მიერ მოწოდებულ შესაბამის დოკუმენტაციას და ექსპერტთა მიერ CV-ების შესწავლას, (გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე) ბოლო სამი დაცვისთვის.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაციები იმ მიმართულებით რაც საჭიროებდა კორექტირებასა და გაუმჯობესებას პროგრამის ფარგლებში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით რომ ბევრი პრაქტიკა ბოლომდე არ არის გააზრებული დოქტორანტების მიერ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზნებია თეოლოგიის - ეკლესიის ისტორიის სფეროში პროფესიონალი აკადემიური პერსონალის მომზადება, რომლებიც შეძლებენ განახორციელონ ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევები, მოახდინონ თეოლოგიური მიმართულებების და საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების კორელაცია, შეძლონ ისტორიული მოვლენების თეოლოგიური ინტერპრეტაცია და გარკვეული რელიგიური პროცესების ისტორიული გარემოებების ახსნა. აღნიშნული მიზნები რეალისტური და მიღწევადია, ასახავს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად დოქტორანტებში და პასუხობს ქართული საზოგადოების საჭიროებებს. პროგრამის სახელწოდებაში თეოლოგიის მეცნიერება გაერთიანებულია კონკრეტულ სფეროსთან, საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან, მრავალი მაღალი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტის მაგალითზე - როგორც ეს აღნიშნულია დოკუმენტში "თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორიის" პროგრამაში, გვ. 3 და კურსდამთავრებულებს ანიჭებს თეოლოგიის დოქტორის ხარისხს. სადოქტორო პროგრამა მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის ერის და ეკლესიის ხანგრძლივი ისტორიული და კულტურული კავშირებიდან გამომდინარე. ცოდნის და უნარების ერთობლიობა, რომლის განვითარებაც დოქტორანტებში განზრახულია პროგრამით, მკაფიოდ არის განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშში და გულისხმობს კვლევის ჩატარების და ისტორიული, სოციალური, რელიგიური და კულტურული ხასიათის რთული პრობლემების ანალიზის, ახსნის და გადაჭრის უნარს. როგორც აღნიშნულია, თეოლოგიის ისტორიის სფეროში სამეცნიერო კვლევების განვითარება და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გადამწყვეტია კონფესიათაშორისი და კულტურათაშორისი დიალოგის წარმატებისთვის, განსაკუთრებით რეგიონში, სადაც წარმოდგენილია მრავალფეროვანი

რელიგიური და ეთნიკური ჯგუფები. პროგრამას სრული მხარდაჭერა აქვს უნივერსიტეტისგან, რაც დადასტურდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებით. პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას, ღირებულებებს, მიზნებს და სტრატეგიას, როგორც ეს აღწერილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (https://gtu.ge/en/GTU/About/mission.php და https://gtu.ge/en/GTU/About/strategy.php). პროგრამა შეთავაზებულია საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ. აღნიშნული პროგრამას ათავსებს ინტერდისციპლინურ გარემოში, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს თეოლოგიური, ისტორიული და სოციო - კულტურული პერსპექტივების ურთიერთთანამშრომლობას და ურთიერთქმედებას. თუმცა, აღნიშნული პოტენციალი ჯერ სრულად არ არის რეალიზებული, რაც მიუთითებს პროგრამის ინტერდისციპლინურობის გაძლიერების საჭიროებაზე. ექსპერტთა ჯგუფი სრულად აღიარებს პროგრამის მნიშვნელობას ცოდნის გაძლიერების და ქართულ საზოგადოებაში წვლილის შეტანის თვალსაზრისით.

თვითშეფასების ანგარიშში ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა (გვ. 20) გამოვლენილია როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტული მიმართულება (სტრატეგიული მიმართულება 5 https://gtu.ge/en/GTU/About/strategy.php). თუმცა, აღნიშნული მიმართულებით გაწეული ძალისხმევა საკმაოდ სუსტია. თვითშეფასების ანგარიშში მხოლოდ რამდენიმე მითითება არის გაკეთებული პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევაზე. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას წარმოდგენილი იყო აღნიშნული ძალისხმევის რამდენიმე მაგალითი. აღნიშნული მოიცავდა პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებას, საგანმანათლებლო ვიზიტებს ისტორიულ ადგილებში და სტუდენტებისთვის კვლევითი მიზნებისთვის საზღვარგარეთ გამგზავრების შესაძლებლობების უზრუნველყოფას. რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ ადგილობრივი ეკლესიის ისტორიაზე ორიენტირებულ სასწავლო გეგმაში უპირველესად გამოყენებული იქნება საკუთარი რესურსები. თუმცა, უდავოდ სასარგებლოა საერთაშორისო კონტაქტების შექმნა ან გაძლიერება კვლევითი მიზნებისთვის, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს იმის შესწავლას, თუ როგორ აღიქმება საქართველოს ეკლესიის ისტორია საერთაშორისო დონეზე, როგორც სხვა მართლმადიდებლების, ასევე ქრისტიანების და არაქრისტიანების მიერ. რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერდისციპლინურობა და შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. აღნიშნული შეიძლება მიღწეულ იქნეს კონფერენციების ორგანიზებით, ლექციების ჩასატარებლად სხვა დისციპლინებიდან ან უცხოეთიდან პროფესორების მოწვევით, მსგავსი პროგრამების მქონე უნივერსიტეტებთან Erasmus - ის პარტნიორობის ან ორმხრივი შეთანხმებების დამყარებით და სტუდენტების წახალისებით განახორციელონ კვლევის ნაწილი საზღვარგარეთ.

პროგრამა ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებ - გვერდზე. თუმცა, მხოლოდ ვებ - გვერდის ქართულენოვანი ვერსია შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას. სასურველია, გაუმჯობესდეს ვებ - გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2022 - 2028 აკადემიური წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (https://gtu.ge/en/GTU/About/strategy.php);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სადოქტორო პროგრამის აღწერილობა;
- კურსების სილაბუსები;
- წინა თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერდისციპლინურობა და შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, გაუმჯობესდეს ფაკულტეტის ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	X	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის დასრულების შემდეგ, სადისერტაციო ნაშრომის დაწერის და დაცვის გზით, კურსდამთავრებულები შეიძენენ საჭირო უნარებს და ცოდნას, რაც აუცილებელია საქართველოს ეკლესიის ისტორიის სფეროში მაღალი ხარისხის თეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად, შეძლებენ ჩაერთონ სამეცნიერო დისკურსში და გადასცენ ცოდნა აღნიშნულ სფეროში მომავალ მეცნიერებს. სწავლის შედეგები აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 7 - 8) და "თეოლოგია - ქართული ეკლესიის ისტორიის" პროგრამაში (გვ. 3 - 4). სწავლის შედეგების შეჯამება შესაძლებელია შემდეგნაირად:

1. პრობლემის განსაზღვრა და მეთოდოლოგია: კურსდამთავრებულებს შეუძლიათ კვლევითი პრობლემების გამოვლენა და სამეცნიერო კვლევისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიების შემუშავება.
2. მულტიდისციპლინური ანალიზი: კურსდამთავრებულებს შეუძლიათ საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური მონაცემების ანალიზი და თეორიული, ემპირიული და რელიგიური ტენდენციების ინტერპრეტაცია.
3. ანალიტიკური მეთოდები თეოლოგიაში: კურსდამთავრებულებს შეუძლიათ თეოლოგიაში უახლესი ანალიტიკური მეთოდების გამოყენება, უახლესი თეოლოგიური კვლევების ცოდნის გამოყენებით ტექსტის სტრუქტურების და ტიპოლოგიების გაგება.
4. საერთაშორისო კვლევის გამოქვეყნება: კურსდამთავრებულებს შეუძლიათ კვლევის შედეგების საერთაშორისო მასშტაბით გამოქვეყნება, შედეგების კრიტიკული შეფასება და ახალი მეთოდოლოგიების შემუშავება თეოლოგიური და ისტორიული დისკუსიების გადასაჭრელად.
5. ცოდნის ეფექტურად წარმოდგენა: კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ თავიანთი ცოდნის ნათლად და დამაჯერებლად წარმოდგენა, რაც ამავდროულად ხელს უწყობს ახალი თეოლოგიური ხედვების და ისტორიული ინტერპრეტაციების ჩამოყალიბებას.
6. პროფესიული ღირებულებები: კურსდამთავრებულებს შეუძლიათ რელიგიური მსოფლმხედველობის სფეროში არსებული ღირებულებების დაცვა და ადვოკატირება.
7. დამოუკიდებელი სწავლება: კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად სწავლება, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით სტუდენტების ჩართვა კრიტიკულ ანალიზში.
8. ისტორიული წყაროების სამეცნიერო ინტერპრეტაცია: კურსდამთავრებულებს შეუძლიათ საეკლესიო ისტორიული წყაროების და ეკლესიის მამათა პერსპექტივების გაგება, სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება.
9. ტექსტთან მუშაობის კომპეტენცია კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ძველი ქართული ხელნაწერების წაკითხვა და შესაბამისი ლიტერატურის სწორად ციტირება.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული სწავლის შედეგები მიღწევადია, რეალისტურია და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ისინი ზუსტად აღწერენ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ. აღნიშნულ შეფასებაში კითხვები ჩნდება მხოლოდ ორ სწავლის შედეგთან დაკავშირებით: პირველი ეხება მულტიდისციპლინური ანალიზის განხორციელების უნარს და მეორე კვლევის შედეგების საერთაშორისო მასშტაბით გამოქვეყნების შესაძლებლობას. პირველი დაკავშირებულია ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ნაკლებობასთან, რაც ხაზგასმულია 1.1 კომპონენტში. მეორე დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორთან, მათ შორის იმ ფაქტთან, რომ

ყველა კურსი ისწავლება ქართულ ენაზე და ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, სტუდენტები არ არიან საკმარისად ინფორმირებულნი კონფერენციებზე დასწრების ან მათი კვლევის ნაწილის საზღვარგარეთ განხორციელების შესაძლებლობების და პერსპექტივების შესახებ.

სწავლის შედეგები დეტალურად არის აღწერილი შეთავაზებული კურსების სილაბუსებში, რაც უდავოდ უზრუნველყოფს როგორც დამსაქმებლების, ისე დოქტორანტების სრულ ინფორმირებულობას შეძენილი უნარების შესახებ. სწავლის შედეგებს და პროგრამის მიზნებს შორის პირდაპირი კავშირი დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს. დამსაქმებელთა წარმომადგენელმა საკმაოდ დადებითად შეაფასა პროგრამა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია მზად არის მაღალპროფესიონალი აკადემიური პერსონალის დასაქმებისთვის. დამატებით, სასურველია მეტი აქცენტი გაკეთდეს ძველ ქართულზე, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს იმუშაონ ძველ ხელნაწერებზე. აღნიშნული რჩევა შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც პროგრამის სამომავლო მოდიფიცირების პოტენციური ვარიანტი, ვინაიდან ამჟამად აღნიშნული არ არის შესაძლებელი არსებული ჩარჩოს ფარგლებში. გარდა ამისა, კურსდამთავრებულებმა და დოქტორანტებმა დაადასტურეს, რომ სწავლის შედეგები არის გამჭვირვალე და მიღწევადი.

და ბოლოს, ორ დოკუმენტში, რომლებშიც აღწერილია სწავლის შედეგები (თვითშეფასების ანგარიში და "თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო პროგრამა) არ არის ნათლად წარმოდგენილი, თუ როგორ განხორციელდა სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. რეკომენდებულია, პროცესი იყოს თანამშრომლობითი, რომელშიც ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ა.შ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამის აღწერილობა;
- სტუ - ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №01- 05 -04/261 (23 სექტემბერი, 2019) "სტუ - ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის შესახებ"
- წინა თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერდისციპლინურობა.
- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი და მოიცავდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს (აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ა.შ.).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	X	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს გააჩნია საკუთარი რეგულაციების და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა მონაცემთა შეგროვების და ანალიზის შესაბამის პროცედურებს მკაფიო წესების გათვალისწინებით. შეფასების ჯგუფი დაკომპლექტებულია სხვადასხვა ფუნქციის მქონე წევრებით იმისათვის, რომ მიიღოს ყოვლისმომცველი ხედვები. შესაფერისია გამოყენებული მეთოდები, რომლებიც მოიცავს პირდაპირი და არაპირდაპირ მექანიზმების გამოყენებას რეგულარულ რეჟიმში.

სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება ოთხი ეტაპისგან: სწავლის შედეგების შემუშავება, სასწავლო გეგმის ანალიზი იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებს გააჩნიათ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის. უკუკავშირის სქემები საკმარისია და ძალიან კარგად არის შემუშავებული. პროგრამის სწავლის შედეგებისთვის შემუშავებულია შესაბამისი სამიზნე ნიშნულები. უსდ უზრუნველყოფს შედეგების რეგულარულ შეფასებას, მონიტორინგს და განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან შედარებას. ასევე, პროცედურა მოიცავს შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის

სათანადო გაუმჯობესებისთვის. სწავლის შედეგების შეფასების სქემა მოიცავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებს და პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ასევე კვლევით კომპონენტს შორის. გარდა ამისა, შეფასების პროცესისთვის გამოიყენება ინფორმაციის შეგროვების შემდეგი მეთოდები: შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნები, კურსდამთავრებულების თვითშეფასება, დამსაქმებლების მიერ კურსდამთავრებულების უნარების შეფასება, სტუდენტების მიღწევები და ზოგადი კმაყოფილების დონე და სტუ-ს გარეთ დარგის ექსპერტებთან პერიოდული კონსულტაციები.
აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი სწავლის შედეგების განსაზღვრაში (იხილეთ 1.2 კომპონენტში წარმოდგენილი შესაბამისი რეკომენდაცია). პროგრამის პერსონალი იღებს დახმარებას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზისთვის საჭირო უნარების განვითარებაში. საგანმანათლებლო პროცესის და პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდული შეფასება ასევე ხორციელდება ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისიის მიერ, რომელიც შედგება აკადემიური, მოწვეული პერსონალისგან და სტუდენტებისგან. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კურსთან / კვლევით კომპონენტთან მიმართებით უნდა განხორციელდეს სასწავლო კურსის და კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდეგ. წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტების თანახმად ვლინდება, რომ მიღებული შედეგები შეესაბამება წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედეგებს მიიჩნევს ვალიდურად და დასაბუთებულად, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდა მხოლოდ 3 პირი.
უსდ - ს მიერ გათვალისწინებულია თანმიმდევრულობა და პერიოდულობა, ასევე დარგის სპეციფიკა და განათლების დონე. დაწესებულება უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისთვის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გაცნობას. გასაუბრებების შედეგების და წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის თანახმად დასტურდება, რომ სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ზოგადად გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები;
- სწავლის შედეგების შეფასება, კურიკულუმის რუკა და სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, რომელიც აღწერილია დოკუმენტში "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, მომზადების, შეფასების და განვითარების პროცედურები". ვიცე-რექტორთან, დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს, ყველა მხარემ დაადასტურა, რომ პროგრამა შეესაბამება რეგულაციებს.

პროგრამა ეფუძნება კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის ჩარჩოს სხვადასხვა აკადემიურ სფეროში და დაწესებულებებს შორის. პროგრამის ხანგრძლივობა არის 3 წელი და მოიცავს 55 კრედიტს. პირველი სემესტრი შედგება ოთხი სავალდებულო სასწავლო კომპონენტისგან, მათ შორის თემატური სემინარისგან, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს. მეორე სემესტრი მოიცავს ორ სავალდებულო სასწავლო კურსს და ოთხ არჩევით სასწავლო კურსს, საიდანაც დოქტორანტი ირჩევს ორს, რაც ჯამში შეადგენს 25 კრედიტს. სავალდებულო სასწავლო

კომპონენტებია: 1. სწავლების მეთოდები, 2. სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა, 3. თეოლოგიური კვლევის მეთოდები საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, 4. თემატური სემინარი, 5. პროფესორის ასისტენტობა და 6. ძველი ქართული ენა. არჩევითი კურსებია: 7.1 საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისტორიოგრაფია, წყაროები და პერიოდიზაცია, 7.2 შედარებითი თეოლოგია, 7.3 საქართველოს ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები და 7.4 საქართველოს ეკლესიის სამართლებრივი ძეგლების ანალიზი ("თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორიის" პროგრამა, გვ. 5 - 6). აღნიშნული კომპონენტები ხელს უწყობენ პროგრამის მთავარი მიზნის თანმიმდევრულად და ლოგიკურად განხორციელებას, რაც არის საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა. პროგრამის სტრუქტურა გონივრულია და მისი ინდივიდუალობა გამოიხატება არჩევითი კურსების არსებობაში. წინა შეფასებისას აღინიშნა, რომ არსებობს გარკვეული დისბალანსი შესავალ კურსებსა და იმ კურსებს შორის, რომლებიც ეძღვნება საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლას. რეკომენდებული იყო, სადოქტორო საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაკორექტირებული ყოფილიყო ზოგადი (მეთოდოლოგიური, საკომუნიკაციო და სწავლების) კურსების და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალიზებული კურსების ბალანსი. აღნიშნული თვალსაზრისით, პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს "ძველი ქართული ენის" სავალადებულო კურსის შემოღება, ვინაიდან ძველი ენა არის ისტორიული წყაროების შესწავლის ინსტრუმენტი. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას ურჩევს გააგრძელოს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით და ხელახლა შეისწავლოს ზოგადი (მეთოდოლოგიური, საკომუნიკაციო და სწავლების) კურსების და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალიზებული კურსების ბალანსი.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კვლევითი კომპონენტი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: კვლევითი პროექტი / პროსპექტუსი, კოლოკვიუმი 1, კოლოკვიუმი 2, კოლოკვიუმი 3, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა და სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა. თითოეული ეტაპის დასრულება წარმოადგენს შემდეგი ეტაპის წინაპირობას. პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუ-ს ვებგვერდზე: https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/phd.php. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შემდეგ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. ზოგადად, პროგრამის სტრუქტურა რაციონალურია, ვინაიდან პროგრამის შინაარსი ვითარდება პროგრესულად, რაც დოქტორანტს ეხმარება სადისერტაციო ნაშრომის დასაწერად საჭირო მეთოდოლოგიის და ცოდნის შეძენაში. საბოლოოდ, უნდა გაუმჯობესდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი აქტივობები და კომპონენტები, როგორც ეს ხაზგასმულია დასკვნის სხვა ნაწილში. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების გაძლიერებას, უცხო ენაზე პრეზენტაციებს და უცხოელი პერსონალის ჩართვას პროგრამის განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუ - ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №01- 05 -04/261 (23 სექტემბერი, 2019) "სტუ - ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის შესახებ";

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამის აღწერილობა დანართი 1;
- სტუ - ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №01- 05 -04/261 (23 სექტემბერი, 2019) "სტუ - ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის შესახებ";
- წინა თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გადაიხედოს ბალანსი ზოგად (მეთოდოლოგიური, საკომუნიკაციო და სწავლების) კურსებს და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალიზებული კურსებს შორის.
- სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მხარდასაჭერის მიზნით უფრო აქტიურად იყოს გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა, უზრუნველყოფილი იყოს პრეზენტაციების უცხო ენაზე გაკეთება და პროგრამის განვითარებაში უცხოელი პერსონალის ჩართვა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	X	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის

შედეგების
მიღწევას.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბოლო შეფასების პროცესის შემდეგ, 2024 წელს რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ესენია:

1. მეორე სემესტრში პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებს დაემატა 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი "ძველი ქართული ენა", რამაც გაზარდა კრედიტების საერთო რაოდენობა 50 - დან 55 - მდე. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული არის აუცილებელი დამატება, მიუხედავად იმისა, რომ კურსი არ უზრუნველყოფს ძველი ქართულის სრულყოფილ სწავლებას, ის დოქტორანტებს აძლევს ფუნდამენტურ ცოდნას აღნიშნულ სფეროში, რაც ღირებულია მათი კვლევისთვის.
2. მოდიფიცირებულ პროგრამაში დადგენილია მიღების უფრო მკაცრი მოთხოვნები. პროგრამა ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ კურსდამთავრებულებისთის, რომლებმაც დაასრულეს შემდეგი მეცნიერებებიდან ერთ - ერთი: 01 განათლება; 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართლის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება აღნიშნულ ცვლილებას, ვინაიდან არარეალურია იმის მოლოდინი, რომ სრულიად განსხვავებული აკადემიური გამოცდილების მქონე დოქტორანტი შეძლებს პროგრამის მიზნების შესრულებას. სასურველია, რომ ხელმძღვანელებმა წაახალისონ ჰუმანიტარული და სხვა მონათესავე მეცნიერებების დოქტორანტები, გაეცნონ თეოლოგიურ მეთოდოლოგიასა და იაზროვნონ მათი სასწავლო კურსების მიღმა. კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტებთან გასაუბრებების დროს, არ გამოთქმულა უკმაყოფილება პროგრამის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეების თაობაზე. პირიქით, სხვა დისციპლინების სტუდენტებმაც გამოხატეს თავიანთი სწავლით კმაყოფილება.
3. სადოქტორო პროგრამის მოდიფიცირება განხორციელდა შემდეგი უნივერსიტეტების სადოქტორო პროგრამების სტანდარტების გათვალისწინებით: ა) ენდრიუს უნივერსიტეტი, სადოქტორო პროგრამა - რელიგია, ეკლესიის ისტორია, ბ) ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა - ეკლესიის ისტორია, გ) გარეტის უნივერსიტეტი, სადოქტორო პროგრამა - ქრისტიანობის ისტორია და ისტორიული თეოლოგია, დ) სამხრეთ ბაპტისტური თეოლოგიური სემინარია, სადოქტორო პროგრამა - ეკლესიის ისტორია და ისტორიული თეოლოგია, ე) ნიუბურგის თეოლოგიური სემინარია, სადოქტორო პროგრამა - ეკლესიის ისტორია. უდავოდ აღსანიშნავია, რომ შესწავლილ იქნა უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი სასწავლო გეგმები და გათვალისწინებულ იქნა მათი ზოგიერთი ყველაზე ეფექტური პრაქტიკა.

ყველა კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის შინაარსი დეტალურად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში, მათ შორის ინფორმაცია ლექტორის შესახებ, კურსის აღწერილობა, წინაპირობები, სწავლის შედეგები, მათი მიღწევის მეთოდები, კრედიტების რაოდენობა, ყოველკვირეული ცხრილი თითოეული ლექციის შინაარსით, შეფასების სისტემა, გამოცდები და ლიტერატურა. ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია სრულყოფილად და პროგრამაში მკაფიოდ არის მიმოხილული კურსების შინაარსი და სტრუქტურა. ყველა კურსი მოიცავს 4 - 6 კრედიტს, თითოეული კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად. შინაარსი კარგად არის ორგანიზებული, მკაფიო და ინფორმაციულია და შეესაბამება სწავლის შედეგებს. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული (გვ. 5, პუნქტები 2, 4 და 5), რამდენიმე კურსის ძირითად ლიტერატურაში შეტანილია სახელმძღვანელოები და სილაბუსების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ზოგადი ცვლილებები. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს განხორციელებულ პროგრესს და მიიჩნევს, რომ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ჯგუფი არ ეთანხმება თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 13) წარმოდგენილ მტკიცებას, რომ "მიმდინარე ეტაპზე არ არის გამოვლენილი გაუმჯობესების საჭიროებები", ვინაიდან სტუდენტების ცვალებად საჭიროებებზე რეაგირების და სილაბუსის მუდმივი დახვეწის მიზნით ყოველთვის არის ლიტერატურის პერიოდული განახლების საჭიროება. სასურველია, რომ რეკომენდებული ლიტერატურის უფრო დიდი ნაწილი ხელმისაწვდომი იყოს უცხო ენებზე, არა იმიტომ, რომ უცხოენოვანი ლიტერატურა უფრო მაღალი დონისაა, არამედ იმიტომ, რომ აღნიშნული სტუდენტებს აწვდის განსხვავებულ პერსპექტივებს, რაც შეიძლება ღირებული იყოს მათი კვლევისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უნივერსიტეტს აქვს დიდი და კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს სტუდენტების ყველა საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საქაღალდე პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები დანართი 1;
- წინა თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები;
- სტუ - ს ცენტრალური ბიბლიოთეკა; https://gtu.ge/en/GTU/Structure/library.php

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რეკომენდებული ლიტერატურის უფრო დიდი ნაწილი ხელმისაწვდომი იყოს უცხო ენებზე, რაც ღირებული იქნება სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზედაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, 2024 წელს განხორციელებული მოდიფიცირების დროს, შეიზღუდა მიღების წინაპირობები და პროგრამაზე სწავლის უფლება მიენიჭა მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც მიღებული ექნებათ განათლება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგ ფართო სფეროებში: **01 განათლება; 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართლის მაგისტრის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული**

აკადემიური ხარისხი (იხ. გვ.4); თუმცა, ქვემოთ დამატებულია 06 საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (იხ. გვ.13), რაც არის იგივე ინფორმაცია, რომლის მიღებაც შეუძლიათ პოტენციური დოქტორანტებს ინტერნეტში (იხ. ქართული ვერსია: https://gtu.ge/pdf/programs/phd/social/file5.pdf (ბოლოს ნანახია 2.11.2024)). უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული პროგრამის ინგლისურენოვან ვერსიაში არ არის აღწერილი სფეროს შეზღუდვები (იხ. https://gtu.ge/en/pdf/programs/phd/soc/file4.pdf (ბოლოს ნანახია 2.11.2024)). რეკომენდებულია, რომ პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია თანმიმდევრულად განთავსდეს ვებ-გვერდზე (არ ფიქსირდებოდეს განსხვავება ქართულ და ინგლისურ ინფორმაციას შორის (იხ. გადაწყვეტილება N23934)); ასევე თვითშეფასების ანგარიშშიც. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე გაცემულია წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

რაც შეეხება პროგრამაში მოდიფიცირების შედეგად დამატებულ წინაპირობებს, ვიზიტის დროს, თვითშეფასების გუნდთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ მათ პირობითად გაითვალისწინეს მე- 4 რეკომენდაცია: ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა ჩამოყალიბდეს მიღების უფრო ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი. კერძოდ, პროგრამაში უნდა დაზუსტდეს, თუ რამდენი კრედიტია საჭირო თეოლოგიურ და მეთოდოლოგიურ კურსებში პროგრამაზე მისაღებად (იხ. გადაწყვეტილება N23934). თუმცა, მიღების წინაპირობებისთვის უნივერსიტეტმა მხოლოდ დააწესა შეზღუდვა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ფართო სფეროებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის სტუდენტებს ჰკითხა დროებითი სასწავლო კომისიის მიერ ჩატარებული გასაუბრების დროს დასმული შეკითხვების სახეების შესახებ (იხ. სადოქტორო პროგრამის დებულება, 3.13). ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ ძირითადი კითხვები ეხებოდა სადისერტაციო ნაშრომის თემას, მოტივაციას და ა.შ. კითხვები არ უკავშირდებოდა მათ ცოდნას იმ სფეროში, რომელშიც უნდა განეხორციელებინათ სადოქტორო კვლევა. გასაუბრებამ გამოავლინა შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის საჭიროება, რომლებიც ექსპერტებმა გამოითხოვეს დაწესებულებიდან.

სადოქტორო პროგრამის დებულების თანახმად, აპლიკანტთან გასაუბრების ფორმატი (საკითხები, შეფასების კრიტერიუმები) განისაზღვრება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტის მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე (3.12). მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა გამოითხოვეს აპლიკანტებთან გასაუბრების ფორმატი რექტორის შესაბამისი ბრძანებით, უსდ-მ ბრძანების ნაცვლად გამოაგზავნა მხოლოდ PDF დოკუმენტი, რომელიც ასახავს პროექტის შეფასებას და სტუდენტის უნარებს და კომპეტენციებს. თუმცა, დოკუმენტი არ იძლევა დეტალურ კრიტერიუმებს, არამედ მასში წარმოდგენილია მხოლოდ სტუდენტების კვლევითი პროექტების და კომპეტენციების შეფასების ზოგადი პრინციპები. პროგრამაზე მიღების მსურველთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამაში განსაზღვრული უნდა იყოს კომპეტენციის მინიმალური დონე. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, შეფასების 40% ეთმობა მოტივაციას. უფრო მეტიც, ექსპერტებისთვის გაგზავნილი კომისიის სხდომის ოქმი N2 - ის (10.09.2024) თანახმად, ფაკულტეტის დროებითი კომისიის წევრების უმრავლესობას არ ჰქონდათ თეოლოგიური განათლება.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსებს, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ

განხორციელებას და პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება სწავლების ენას, ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით მაინც რჩება გაურკვეველი, შეძლებენ თუ არა ჩარიცხული სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების და კომპეტენციების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №23934 (13.01.2023);
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება;
- დოქტორანტურის დებულება;
- კომისიის სხდომის ოქმი №2 (10.09.2024);
- დოქტორანტობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები;
- ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამაზე დაშვების უფრო ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში უნდა დაკონკრეტდეს რამდენი კრედიტია საჭირო თეოლოგიურ და მეთოდოლოგიურ კურსებში პროგრამაზე მისაღებად (ასევე იხილეთ გადაწყვეტილება N23934).
- რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო კვლევითი პროექტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები (მინიმალური მოთხოვნებით).
- რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია განთავსდეს თანმიმდევრულად დაწესებულების ვებ-გვერდზე (არ უნდა იყოს წარმოდგენილი განსხვავება ქართულ და ინგლისურ ენებზე არსებულ ინფორმაციას შორის; ასევე თვითშეფასების ანგარიშში).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☐	X	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დოქტორანტთა პრაქტიკული უნარების განვითარება სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მიიღწევა პროფესორის ასისტენტობის სასწავლო კურსით (10 ECTS) და სტუ-ს დოქტორანტურის დებულებით. კვალიფიციური ხელმძღვანელი ეხმარება დოქტორანტს პროფესიული კვლევითი კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად ჩატარებისთვის საჭირო პრაქტიკული ჩვევების გაფართოებაში (იხ. გვ. 14). გასაუბრებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს მათი ხელმძღვანელის ჩართულობა მსგავსი უნარებისა და კომპეტენციების განვითარების, ასევე კვლევის წარმოების საქმეში.
დაწესებულებამ გაზარდა თეოლოგიურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
დოქტორანტურის დებულების თანახმად, სწავლის პერიოდში, დისერტაციის დაცვაზე წარდგენამდე, სტუ-ს დოქტორანტი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია დისერტაციის თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების შესახებ... მათ შორის, სულ მცირე სამი გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია, რომლიდანაც ერთი აუცილებლად უნდა იყოს თანაავტორის გარეშე. დადგენილი წესების შესაბამისად, დოქტორანტის მიერ მისი სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული სამი სამეცნიერო სტატიიდან სულ მცირე ერთი უნდა გამოქვეყნდეს Web of Science, Scopus, Google Scholar ან სხვა შესაბამის მონაცემთა ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო გამოცემაში, რომელსაც უზრუნველყოფს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (იხ. დოქტორანტურის დებულება 8.4). ეს უზრუნველყოფს სადოქტორო კვლევის სამეცნიერო შედეგების გამჭვირვალობასა და შესაბამისობას. თუმცა, აკრედიტაციის საბჭომ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია, რომ დისერტაციის დაცვამდე, კვლევის შედეგები სულ მცირე ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კონგრესზე ან ფორუმზე უნდა იქნას წარმოდგენილი (იხ. გადაწყვეტილება N23934). ეს კარგი პრაქტიკაა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ტრანსფერული უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. გარდა ამისა, დოქტორანტურის მახასიათებლის დოკუმენტის შესაბამისად, ერთი სტატია უნდა გამოქვეყნდეს უცხოურ საერთაშორისო ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში, რაც ამ ეტაპზე პროგრამის დებულებით არ არის სავალდებულო.

მართალია, პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მოუწოდებენ სტუდენტებს საერთაშორისო დონეზე გაავრცელონ მათი კვლევის შედეგები, რაც გამოვლინდა კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას, აგრეთვე კურსდამთავრებულთა საქმიანობის სიაში (რაც წინა აკრედიტაციის ვიზიტზე არ გამოჩნდა. თუმცა, ერთი კურსდამთავრებულის შესახებ ინფორმაცია აკლდა), ამას აუცილებლად უნდა აწესრიგებდეს დოქტორანტურის დებულება ან თავად სადოქტორო პროგრამა.
და ბოლოს, უსდ- მ უნდა წაახალისოს სტუდენტები განავითარონ ენობრივი უნარები. ეს პრობლემა თვალსაჩინო იყო როგორც გასაუბრებისას, ასევე კურსდამთავრებულთა საქმიანობაში. იგივე რჩევა მიიღო უნივერსიტეტმა წინა აკრედიტაციის ვიზიტის დროსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N23934 (13.01.2023).
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
- პოტენციურ დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები.
- დოქტორანტურის დებულება
- პროფესორის ასისტენტობის სილაბუსი
- დოქტორანტების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები და ინფორმაცია სტუდენტური კონფერენციების შესახებ.
- სადოქტორო დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დისერტაციის დაცვამდე, დოქტორანტებმა კვლევის შედეგები წარმოადგინონ სულ მცირე ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კონგრესზე ან ფორუმზე, ასევე უცხოურ საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დოქტორანტების ენობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაში**	**ნაწილობრივ შესაბამისობაში**	**არ არის შესაბამისობაში**

		ა მოთხოვნებთან	ა მოთხოვნებთან	მოთხოვნებთა ნ
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	X	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა იყენებს სხვადასხვა სწავლება/სწავლის მეთოდს (დისკუსიები/ დებატები; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); დემონსტრირება; ანალიზი; სინთეზი; ზეპირი ან სიტყვიერი; წერილობითი სამუშაო; პრაქტიკული მეცადინეობები; განმარტებითი; მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, სიმულაცია, როლური თამაშები და სხვ.), რომლებიც შეესაბამება დოქტორანტურის დონეს და კურსებს, რომლებშიც ისინი ხორციელდება. ისინი უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და უზრუნველყოფენ სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სწავლის პროცესში და ურთიერთობაში. მათი გამოყენება შესაძლებელია დისტანციური სწავლებისთვისაც.
უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკების თანამედროვე მონაცემთა ბაზებზე წვდომა, და პროგრამა ხორციელდება არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ციფრული რესურსებითაც, რაც იძლევა დისტანციური სწავლების განხორციელების გარანტიას პროგრამის შედეგების ცვლილების გარეშე. უსდ-ს აქვს ელ-სწავლების პორტალი, რომელიც საშუალებას აძლევს პედაგოგებს ატვირთონ სასწავლო მასალები, შექმნან ინტერაქტიული ღონისძიებები სტუდენტებისთვის, მართონ სალექციო თემები და უზრუნველყონ უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს სწავლება/ სწავლის პროცესს (იხ. elearning.gtu.ge). ამავდროულად, პლატფორმა ამარტივებს სტუდენტებისთვის სასწავლო მასალასთან მუშაობას, გამოკითხვებში მონაწილეობას და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსებში აღწერილი სწავლა- სწავლების მეთოდები;

- ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე წვდომის ხელშეკრულებები;
- ვებ-გვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	**X**	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებას, 05.01.07 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დადგენილ რეგულაციებს. შეფასების სისტემა გამჭვირვალე, სანდო და გასაგებია პროგრამის სტუდენტებისთვის.

პროგრამა "თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია" იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდს და, შესაბამისად, სილაბუსებში შეფასების მეთოდები მოიცავს: დისკუსიებში მონაწილეობას, შუალედურ გამოცდას, ესეს/ პრეზენტაციას, მცირე სამეცნიერო პროექტებს და

დასკვნით გამოცდას. დადგენილი შეფასების სისტემით ხორციელდება სტუდენტის პროგრესის მონიტორინგი, რაც იძლევა განმავითარებელ და შემაჯამებელ შეფასებებს.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა უნივერსიტეტის რეგისტრაციის პორტალი, სადაც სტუდენტები ხედავენ თავიანთი შეფასების შედეგებს, ეკონტაქტებიან ლექტორებს, წარადგენენ უკუკავშირს და წერენ განცხადებებს თუ მათ რაიმე საჩივარი აქვთ.

დოქტორანტურის დებულებაში წარმოდგენილი უნივერსიტეტის შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და დისერტაციის დაცვისა და შეფასების სამართლიანი პროცედურები გააჩნია. უნივერსიტეტს გააჩნია აპელაციის მექანიზმები: სტუდენტებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი აპელაცია ელექტრონული პორტალის მეშვეობით ან ადგილზე დაწერონ აპელაციის განცხადება.

პროგრამაში გათვალისწინებულია პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები. ამისთვის გამოიყენება „Strikeplagiarism.com" პლატფორმა. ტექსტუალური მსგავსების მისაღები პროცენტი დგინდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი ნაშრომი/ დისერტაცია/ პროექტი შეამოწმონ Strikeplagiarism.com- ზე ადმინისტრაციული პერსონალის დახმარებით და შეიტანონ ცვლილებები/ გაუმჯობესებები (საჭიროების შემთხვევაში) ნაშრომის საბოლოო წარდგენამდე.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია ყველა საჭირო უნარი, კომპეტენცია, გამოცდილება და შესაბამისი ცოდნა პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის და პირადად არის ჩართული მის განხორციელებაში.
თუმცა, ექსპერტებს აფიქრებთ ამ ბოლო წლებში დისერტაციის დაცვის საბჭოს ფორმირება, რომლის ფუნქციას წარმოადგენს თეოლოგიის სფეროში კვლევის შეფასება, რომელსაც უმეტესად სტუ- ის სასულიერო გამოცდილების არმქონე პროფესორები ახორციელებდნენ. ზოგიერთი დოქტორანტის შემთხვევაში რეცენზენტებიც კი არ იყვნენ თეოლოგები (არამედ ისტორიკოსები), რაც კარგად ჩანს დაცვის ოქმიდან.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში N23934 (იხ. რეკომენდაცია 14) გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაცია ამ პროგრამისთვის მეტი აფილირებული ხელმძღვანელების დაქირავების შესახებ, რაც განხორციელდება მომავალ წელს, როგორც ეს ადგილზე ვიზიტისას აღინიშნა, როცა უსდ გამოაცხადებს კონკურსს, რაც ჩვეულებრივ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ხდება. თუმცა, რეკომენდაცია რჩება მის შესრულებამდე.

გასაუბრებისას, პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ მათ არ ჰყავთ საერთაშორისო ხელმძღვანელები, მაგრამ იგეგმება საერთაშორისო თანახელმძღვანელების დამატება.

სტუ-ის დებულების თანახმად, დისერტაციის დაცვა საჯარო მოვლენაა, და სტუდენტები წინასწარ ეცნობიან დისერტაციის გაფორმების აკადემიური სტილის მოთხოვნებს, რაც შეფასების დროს მხედველობაში მიიღება.

სტუდენტთა შეფასებების ანალიზთან დაკავშირებით, 2023- 2024 სასწავლო წლის ბოლოს უნივერსიტეტმა შეაგროვა სტუდენტთა შეფასების შედეგები. შედეგების ანალიზის საფუძველზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად გამოიტანა გარკვეული დასკვნები: შედეგები შეესაბამებოდა წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პლაგიატის შემოწმების ინსტრუქციები, მარეგულირებელი დოკუმენტი
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "თეოლოგია - ქართული ეკლესიის ისტორია";
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/pdf/formsinstructions/educational-process.pdf
- სტუ- ს დოქტორანტურის დებულება;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების პროცედურა"
- სტუ- ს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://vici.gtu.ge
- გასაუბრებები
- თვითშეფასების ანგარიში.
- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სადოქტორო დისერტაციის დაცვის კომისიაში ჩართული თეოლოგების რაოდენობის გაზრდა, ასევე უზრუნველყოფა, რომ რეცენზენტები, რომლებიც აფასებენ კვლევას თეოლოგიის სფეროში, იყვნენ დარგის ექსპერტები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტთა შეფასება	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტების შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ცნობიერებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრებსა და დოქტორანტებს უწევენ სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული მონაცემთა ბაზა სტუდენტებისთვის, https://vici.gtu.ge/, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს შეუძლიათ მოითხოვონ სერთიფიკატები, დაუკავშირდნენ ადმინისტრაციას, დაწერონ განცხადებება, შეამოწმონ სილაბუსები და შეფასებები.

სტუდენტს აქვს წვდომა აუცილებელ ინფორმაციაზე, სახელმძღვანელო მითითებებსა და მხარდაჭერაზე როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალის მხრიდან, რაც ეხმარება მათ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში, მაჩვენებლის გაუმჯობესებაში, პროფილის ჩამოყალიბებასა და კარიერულ წინსვლაში. პროგრამის კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ გამოშვების შემდეგაც მუდმივ კავშირში არიან აკადემიურ პერსონალთან; ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა მოამზადა რადიოგადაცემების ციკლი დისერტაციის თემიდან, სხვები კი დასაქმებულნი არიან უნივერსიტეტში როგორც ლექტორები. ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა განაცხადი შეიტანა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში და მოიგო გრანტი. პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან თავიანთი სპეციალობის მიხედვით.

საკონსულტაციო საათები საშუალებას აძლევენ სტუდენტებს შეხვდნენ თავიანთ ხელმძღვანელს პირისპირ ან ონლაინ, უნივერსიტეტის რეგულაციების თანახმად, თუმცა საკონსულტაციო საათების განრიგი არ ქვეყნდება ვებ-გვერდზე ან ფაკულტეტის დაფაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამაში 5 სტუდენტია, კომუნიკაცია და სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომა პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს. სტუდენტები მთელი სემესტრის განმავლობაში აფასებენ ფაკულტეტის წევრებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს. აღნიშნულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში შეფასების გასაჩივრების შემთხვევა არ ყოფილა. ბოლო ხუთი წლის მონაცემების მიხედვით, პროგრამა „თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია" დადგენილ ვადაში 40%- მა დაასრულა.

პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, და მას საერთაშორისო სტუდენტები არ ჰყავს. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, აგრეთვე აქვეყნებენ თავიანთ სტატიებს შესაბამის კრებულებსა თუ ჟურნალებში. უნივერსიტეტს გააჩნია კორპორაციები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. 2022 წელს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ენდრიუს უნივერსიტეტთან მიჩიგანში, აშშ. 2022 წელს დეკემბერში გაიმართა მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი - „ნოეს კიდობნის ბიბლიური კვალის ძიებაში", რომელშიც სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა და გამოაქვეყნეს სტატიები.

უფრო მეტიც, წმინდა ათონის მთის მონასტერთან გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში, პროგრამის სტუდენტებმა დისერტაციის წერისას გამოიყენეს იშვიათი ხელნაწერებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სიმპოზიუმი ვერ მოიძებნება სტუ-ს ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის No133/ ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება“; https://gtu.ge/GTU/acts/statute.php
- სტუ- ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;

- https://gtu.ge/social/about/debuleba.php საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია
- https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/common-rules.php
- სტუ-ს სტუდენტების აკადემიური პროგრესის მონიტორინგის ელექტრონული სისტემა vici.gtu.ge
- ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/social/;
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების ნიმუში (დანართი 6)
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დოქტორანტებს მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის კონფერენციებზე დასწრების, საზღვარგარეთ კვლევის ჩატარების და მათი შედეგების საერთაშორისო მასშტაბით გამოქვეყნების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ, როგორიცაა კონფერენციები და სიმპოზიუმები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის / ფაკულტეტის ვებ - გვერდზე.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გამოაქვეყნოს საკონსულტაციო საათები და უზრუნველყოს სტუდენტებისთვის მათი ხელმისაწვდომობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია გაძლიერდეს სტუდენტების სამეცნიერო გაცვლითი მობილობის კომპონენტი, რაც ხელს შეუწყობს მრავალფეროვან აკადემიურ გარემოსა და მეთოდოლოგიას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	☐	X	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარმატებით

განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას 8 აკადემიური პერსონალი ემსახურება: 5 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი. პროგრამას უძღვება მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელსაც შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება გააჩნია იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა სათანადო ხელმძღვანელობა, რაც უფრო დეტალურად იქნება აღწერილი 4.1 და 4.2 სექციებში. სტუ-ის მოთხოვნების შესაბამისად, საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელობის წინაპირობას წარმოადგენს სადოქტორო ხარისხი. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს 2 ხელმძღვანელი: ერთი უნივერსიტეტიდან - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, და მეორე პარტნიორი უნივერსიტეტიდან, თუ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებულია შეთანხმება. დოქტორანტებს შეუძლიათ დისერტაციის სათაურის შეცვლა ნებისმიერ სემესტრში (მხოლოდ ერთხელ) ბოლო სემესტრის გარდა.

საკონსულტაციო საათები საშუალებას აძლევენ სტუდენტებს შეხვდნენ თავიანთ ხელმძღვანელს პირისპირ ან ონლაინ, უნივერსიტეტის რეგულაციების თანახმად, თუმცა საკონსულტაციო საათების განრიგი არ ქვეყნდება ვებ-საიტზე ან ფაკულტეტის დაფაზე.

ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის მიმდინარე სტუდენტებს ჰკითხეს, იყენებენ თუ არა სამეცნიერო მონაცემთა ბაზებს ნაშრომის წერისას. არცერთმა მათგანმა არ დაადასტურა სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღეს 1- ლი, მე-2 და მე-3 კურსის დოქტორანტებმა. გარდა ამისა, სტუდენტებს არ მიაწოდეს ინფორმაცია ციტირებისა და მითითების შესახებ, ასევე რა სტილი უნდა გამოიყენონ სტატიის ან დისერტაციის წერისას.

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	6
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	5
თანაფარდობა	8/5

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის დებულება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- დოქტორანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა;
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/social/
- გასაუბრება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სტუდენტებისთვის ტრენინგების შეთავაზება ან ხელმძღვანელების მხრიდან სათანადო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ.

- რეკომენდებულია, ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ სტუდენტების აკადემიური წერის მიმართულებით აუცილებელი ცოდნით და უნარებით აღჭურვაზე, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის და სამეცნიერო სტატიების მომზადების სტრუქტურაზე და სახელმძღვანელო პრინციპებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობ

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი შედგება 8 პირისგან, რომელთა შორის 5 არის სტუ-ს აფილირებული პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი. სასწავლო კურსების პედაგოგები (შედარებითი თეოლოგია, საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის თეოლოგიური მეთოდები, ძველი ქართული ენა, სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სხვ.) არიან კვალიფიციური პირები შესაბამის სფეროებში, ასევე ხელმძღვანელები; მათ შორის სამს აქვს დოქტორის ხარისხი თეოლოგიაში (ერთს დამატებით კულტურის ისტორიაში) და ორს

აქვს ეკვივალენტური აკადემიური ხარისხი ისტორიაში და საკმარისი გამოცდილება თეოლოგიის სფეროში, რასაც ადასტურებს ბოლო წლებში გამოქვეყნებული შესაბამისი ნაშრომები. უსდ- ს მიერ წარმოდგენილ CV- ებში ასახულია მათი უნარები და კომპეტენციები, რითაც ისინი სტუდენტებს ეხმარებიან პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ყველა მათგანი მოქმედი მკვლევარია და მრავალრიცხოვანი წიგნი და სტატია აქვთ გამოქვეყნებული თეოლოგიისა და ისტორიის დარგებში. უსდ ასევე უწყობს ხელს მათ სამეცნიერო საქმიანობასა და განვითარებას. გასაუბრებისას სტუდენტებმა აღიარეს, რომ ძალიან კმაყოფილი არიან პროგრამით, რომლისგანაც საჭირო მხარდაჭერას იღებენ. პროგრამის პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სტუდენტების რაოდენობასთან (5) შედარებით პროპორციულია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თუმცა, უსდ-ს სადისერტაციო საბჭოს რეგულაციების გათვალისწინებით (იხ. მუხლი 5), სადისერტაციო ნაშრომის დაცვის საბჭო უნდა შედგებოდეს შესაბამისი დარგის 11 წევრისგან, ამიტომ რეკომენდებულია თეოლოგიური განათლების მქონე აფილირებული პერსონალის დამატება, რომლებიც ამავდროულად პროგრამის ხელმძღვანელები გახდებიან (იხ. აგრეთვე მსჯელობა სტანდარტზე 2.4).

პროგრამამ განაახლა აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას და უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას; სტუდენტებს ემსახურება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ადეკვატური რაოდენობა, მათი ფუნქციების შესაბამისად.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**8**	**5**	**4**	**5**
- პროფესორი	5	3	2	5
- ასოცირებული პროფესორი	3	2	2	-
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი				_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, საკვალიფიკაციო დოკუმენტები; სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის დებულებები;
- უსდ-ს მიერ მოწოდებული რაოდენობრივი მონაცემები საგანმანათლებლო პროგრამის დატვირთვის შესახებ
- პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, დეკანატისა და დეპარტამენტების სპეციალისტების სამუშაო აღწერილობები და მოვალეობები.
- უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება.
- მოთხოვნილი დოკუმენტები; დისერტაციის დაცვის პროტოკოლი;
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში დასაქმებულია თეოლოგიის ისტორიაში დოქტორის ხარისხის მქონე მცირე რაოდენობის აკადემიური პერსონალი, რეკომენდებულია მეტი აფილირებული პერსონალის აყვნა, რომლებიც ასევე გათვალისწინებული იქნებიან აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელებად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსი	☐	X	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის 8 თანამშრომლიდან 5 არის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი (3 აფილირებული პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი). ყველა მათგანი კვალიფიციური, მოქმედი მკვლევარია და სათანადო ცოდნა გააჩნიათ იმისთვის, რომ უზრუნველყონ სტუდენტების სწორი ხელმძღვანელობა. მათი სამეცნიერო სტატიები შეესაბამება დოქტორანტების ზოგად თემასა და მიმართულებას. გასაუბრებისას დოქტორანტებმა დაადასტურეს, რომ ხელმძღვანელებისგან იღებენ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციებს. სადოქტორო პროგრამის რეგულაცია გვიჩვენებს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები (თან)ხელმძღვანელისთვის, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურზე ხელმძღვანელობის მოთხოვნებს და სპეციფიურია პროგრამისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისთვის.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**5**	**4**	**3**
- პროფესორი	3	2	3
- ასოცირებული პროფესორი	2	2	-
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N23934 (13.01.2023).
- სადოქტორო პროგრამის დებულება

- ხელმძღვანელების CV- ები.
- ინტერვიუების შედეგები
- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	**X**	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი ის პროცედურები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის თანამშრომლების შეფასებისას, მათ შორის შედეგების გამოყენების ანალიზი. ანგარიშის თანახმად (გვ. 20- 21), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს და აანალიზებს შედეგებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ყველა აკადემიურ თანამშრომელს მათი ფუნქციების ეფექტურ შესრულებაში

და პროფესიულ განვითარებაში. ფაკულტეტის პერსონალის შეფასების პოლიტიკას გააჩნია შემდეგი მიზნები: დაადგინოს აკადემიური პერსონალის კომპეტენციები; შეაფასოს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები; მიაწოდოს მას რეკომენდაციები; უზრუნველყოს მისი უწყვეტი პროფესიული ზრდა; და დაადგინოს პროფესორებისა და მასწავლებლების გადამზადების საჭიროება. უნივერსიტეტში დაარსდა ტრენინგ ცენტრი, რომელიც მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდას. გარდა ამისა, უნივერსიტეტში არსებობს „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფაკულტეტის კომისია", რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, პასუხისმგებელია პედაგოგთა სწავლების ხარისხისა და საგანმანათლებლო პროგრამებთან მისი შესაბამისობის შეფასებაზე. კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია აცნობოს ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემოწმების პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა კომპეტენცია, პუბლიკაციების რაოდენობა, სილაბუსები, სწავლების მეთოდები და დოქტორანტების კმაყოფილება, ცხადია, რომ აკადემიური პერსონალი საუკეთესოდ მუშაობს, და ნათელია, რომ უნივერსიტეტიდან მიღებული მხარდაჭერაც საკმარისია. სტუდენტებთან შეხვედრაზე დადასტურდა, რომ თითოეული კურსის დასრულებისას სტუდენტები ავსებენ კითხვარს კურსის შესაფასებლად. გარდა ამისა, სტუდენტებმა მიუთითეს, რომ სრულიად კმაყოფილნი იყვნენ კურსის ხარისხით.

თვითშეფასების ანგარიში არაერთხელ ახსენებს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას და ამტკიცებს, რომ „აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლების უმრავლესობას აქვს სხვადასხვა სახის გადამზადების სერტიფიკატები და მაღალი მაჩვენებლით მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გასაძლიერებლად, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში, კითხულობს ლექციებს სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებში; ისინი არიან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოების წევრები, საერთაშორისო კონფერენციების თანაორგანიზატორები და საორგანიზაციო კომიტეტის წევრები" (გვ. 22). მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალი აღიარებულია სამეცნიერო წრეებში და წარმატებით ასრულებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, V დანართში მოცემული CV-ები სრულად არ ადასტურებს ამ ნაწილში მოყვანილ ფაქტებს. ექსპერტთა ჯგუფი არ კამათობს ანგარიშში გაკეთებულ განცხადებებზე; თუმცა, იკვეთება გარკვეული სხვაობა წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და გაკეთებულ მტკიცებებს შორის.
გარდა ამისა, აკლია მონაცემები საერთაშორისო მობილობის, გაცვლითი ან ერთობლივი პროგრამების, ორმხრივი შეთანხმებებისა და საერთაშორისო პროექტების შესახებ. საერთო ჯამში, როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის ინტერნაციონალიზაცია საკმაოდ სუსტია, რაც გავლენას ახდენს აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდაზეც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- აკადემიური პერსონალის CV დანართში 5.
- დოკუმენტი „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და შეფასების მექანიზმები“ სტუ. https://gtu.ge/en/GTU/About/internationalization-policy-and-evaluation-mechanisms.php

- ვებგვერდი - "პროფესიული განვითარების ცენტრი" https://www.hpep.ge (მხოლოდ ქართულად)
- გასაუბრება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პერსონალის პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობები, ასევე პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის კონფერენციები, სემინარები, ლექციები და საზღვარგარეთ კვლევის შესაძლებლობები, ტრენინგები და ა.შ. აღირიცხოს და აისახოს პერსონალის პირად საქმეებში ან პროგრამის ვებ-გვერდზე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შედეგებზე ხელმისაწვდომობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს მობილობის ხელშეკრულებების გაფორმების და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის სტრატეგია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	X	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა აღჭურვილია შესაბამისი ბიბლიოთეკითა და საჭირო ციფრული რესურსებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. ადგილზე ვიზიტის დროს,

ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ბიბლიოთეკას და მიიღო ინფორმაცია სტუდენტებისთვის შეთავაზებული მასალების შესახებ. ბიბლიოთეკაში არის ბეჭდური და ელექტრონული რესურსების ფართო არჩევანი, მათ შორის წიგნები, ჟურნალ- გაზეთები, ელექტრონული მონაცემთა ბაზები და კომპიუტერული ოთახი. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული ძიების სისტემა ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებ-საიტზე. შედეგად, სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა სამეცნიერო მონაცემთა ბაზების სხვადასხვა წყაროსთან, მათ შორის: ScienceDirect, Scopus, აგრეთვე Cambridge University Press, Royal Society Publishing, BioOne, IMF ელექტრონული ბიბლიოთეკა, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society და Polpred.com Mass Media Review.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მაღალი სტანდარტისაა, მარტივად ხელმისაწვდომი და სრულად ფუნქციონირებს სტუდენტებისთვის, შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს ამ სტანდარტის მოთხოვნებს. ერთადერთი შენიშვნა უკავშირდება ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებას დოქტორანტების მიერ. სტუდენტებთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტები სრულად არ იყვნენ ინფორმირებულნი ელექტრონული მონაცემთა ბაზების არსებობის შესახებ და, შესაბამისად, მათი გამოყენება საკუთარ კვლევით საქმიანობაში არ მიაჩნდათ მნიშვნელოვნად. სწორედ ამიტომ სასურველია, რომ პედაგოგებმა გააცნონ სტუდენტებს ის კვლევის შესაძლებლობები, რომლებსაც მათ არსებული მონაცემთა ბაზები სთავაზობენ, და ურჩიონ მათი რეგულარულად გამოყენება.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა ოფისები, სალექციო და სემინარის ოთახები. ყველა საშუალება დამაკმაყოფილებელი და საკმარისი აღმოჩნდა პროგრამის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- საუნივერსიტეტო კამპუსის, მათ შორის ბიბლიოთეკის დათვალიერება
- სტუ- ს ცენტრალური სამეცნიერო და ტექნიკური ბიბლიოთეკა (https://gtu.ge/en/Library/)
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა მეტი დრო დაუთმოს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების კვლევითი შესაძლებლობების გაცნობას და მისცეს მათ მოტივაცია რეგულარულად გამოიყენონ აღნიშნული ბაზები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	X	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსები საკმარისია პროგრამის ფინანსური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის ხელფასებს, აგრეთვე ინფრასტრუქტურულ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის განვითარებასთან წლის განმავლობაში. თვითშეფასების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ეკონომიკური მონაცემების რაიმე ანალიზი. თუმცა, მე- 10 დანართში შეტანილ სამ ფაილში (2024 წლის კონსოლიდირებული ბიუჯეტი, ფაკულტეტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის პროგრამა) წარმოდგენილი მტკიცებულებები ამართლებს გამოთქმულ მტკიცებას. ექსპერტთა ჯგუფის ერთადერთი შენიშვნა ამ სტანდარტთან დაკავშირებით არის სტუდენტების კვლევის ან კონფერენციაში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერის პირდაპირი მითითების არარსებობა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კატეგორიები „სამეცნიერო ხარჯები", „მომზადებასა და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები" და „სამსახურებრივი მივლინება", რომლებიც შესაძლოა უკავშრდებოდეს კონფერენციაში მონაწილეობას, არსად არის ნახსენები სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფაილები „2024 წლის ნაერთი ბიუჯეტი“, „ფაკულტეტის ბიუჯეტი“ და „ბიუჯეტის პროგრამა“, რომლებიც მოცემულია დანართში 10.
- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ბიუჯეტი უზრუნველყოფდეს სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას და სტუდენტებს მკაფიო და გამჭვირვალე წარმოდგენა ჰქონდეთ ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სისტემურ შეფასებას, სასწავლო გეგმების, სერვისებისა და რესურსების შეფასებას, პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასებას და ხელს უწყობს მუდმივ გაუმჯობესებას რეკომენდაციებისა და მიგნებების საფუძველზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კოორდინირებულია ფაკულტეტისა და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის დონეზე და მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ყველა ძირითადი პროცესის შეფასებას. ამას იგი ახორციელებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით: ყოველწლიური გამოკითხვები, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვის სხვადასხვა მეთოდები, რათა მოხდეს შეფასების შედეგების ანალიზი, ჩატარდეს ეფექტური მონიტორინგი, გამოვლინდეს მიზნები და ჩამოყალიბდეს განვითარების ტენდენციები. წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის მიგნებების შესაბამისად, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია, ხოლო შეფასების შედეგები ზოგადად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. თვითშეფასების პროცესმა და სამუშაო ჯგუფში დავალებების შესაბამისმა განაწილებამ უზრუნველყო სუსტი მხარეების გამოვლენა და მომავალი განვითარებისთვის შესაბამისი შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს გამოკითხვები მიმართულია სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენისკენ, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ- მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების გზით, რასაც ატარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE). ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, ხოლო მიგნებები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელებს შემდგომი განხილვისთვის. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს განვითარების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან. 2023 წლის 13 იანვარს სადოქტორო პროგრამამ 'თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია' მიიღო პირობითი აკრედიტაცია 2 წლით (გადაწყვეტილება #23934). პროგრამის განვითარების პროცესში, დაწესებულებამ იმუშავა და გაითვალისწინა წინა გარე შეფასებისას მიღებული რეკომენდაციები. თუმცა, სხვადასხვა კომპონენტიდან გამომდინარე, ზოგიერთი რეკომენდაციის ოპტიმალურად და სრულად გათვალისწინება ვერ მოხერხდა. სწორედ ამიტომ რეკომენდებულია, რომ პროგრამის ჯგუფმა სრულყოფილად გაითვალისწინოს წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული ყველა რეკომენდაცია.
საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორმა. შეფასებამ გამოკვეთა პროგრამის მნიშვნელობა და ინდივიდუალობა, პროფესიული მოთხოვნა და პროგრამის მიზნების შესაბამისობა თანამედროვე ტენდენციებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, სასწავლო გეგმისა და კვლევის თავისებურებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- გარე შეფასება
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის ჯგუფმა სრულად გაითვალისწინოს წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული ყველა რეკომენდაცია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	☐	X	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო,
მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ პირებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების მთავარ საშუალებას. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. აუცილებლობის შემთხვევაში ასევე ეწყობა ფოკუს ჯგუფები. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. დოქტორანტები ასევე აფასებენ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის ხარისხს. შეფასების პროცესის მიგნებები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებს შორის და გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად. პროგრამა სარგებლობს „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფაკულტეტის კომისიის" პრაქტიკით, რომელიც პერიოდულად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს, მის უზრუნველყოფას შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობას და უნივერსიტეტის თვითშეფასების მომზადების პროცესის ფარგლებში

შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების მიზნით. ფაკულტეტის კომისიას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
უსდ იყენებს საუკეთესო ხელმისაწვდომ პრაქტიკებს კონკურენტუნარიანი და ინდივიდუალური პროგრამის შემუშავების მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს დარგში აშშ-ს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას: ენდრიუს უნივერსიტეტი, სადოქტორო პროგრამა 'რელიგიის, ეკლესიის ისტორია'; ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტი, სადოქტორო პროგრამა 'ეკლესიის ისტორია'; გარეტის უნივერსიტეტი, სადოქტორო პროგრამა 'ქრისტიანობის ისტორია და ისტორიული თეოლოგია'; სამხრეთის ბაპტისტური სასულიერო სემინარია, სადოქტორო პროგრამა 'ეკლესიის ისტორია და ისტორიული თეოლოგია'; ნიურბერგის სასულიერო სემინარია, სადოქტორო პროგრამა 'ეკლესიის ისტორია". ჯგუფმა შეისწავლა მრავალი საერთო კურსი და სამეცნიერო-კვლევითი თავისებურება, რამაც გავლენა მოახდინა პროგრამის შემუშავების პროცესზე, მაგრამ ასევე ითვალისწინებს ადგილობრივ ქართულ რეალობებსა და მოთხოვნებს, შესაბამისად, აერთიანებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პრაქტიკებსა და მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ანალოგური პროგრამების ანალიზი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- o
  წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: თეოლოგია - საქართველოს ეკლესიის ისტორია, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	X	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	X	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	X	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მილტიადის ვანტსოსი

სრული სახელი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ცოტნე ჩხეიძე

თამთა ცხოვრებაძე

ნათია მაღალაშვილი